



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

ირაკლი ნადარეშივილი

სამოხელეო დანაშაულის (საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის 332-ე-333-ე მუხლები)
გამოძიების სპეციფიკა და მტკიცებულებათა სტანდარტის
სამართლებრივი ანალიზი.

სამეცნიერო ხელმძღვანელი
სამართლის დოქტორი, პროფესორი - ნინო გვენეტაძე

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი, 0141, საქართველო
2020



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

ირაკლი ნადარეშივილი

სამოხელეო დანაშაულის (საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის 332-ე-333-ე მუხლები)
გამოძიების სპეციფიკა და მტკიცებულებათა სტანდარტის
სამართლებრივი ანალიზი.

სამეცნიერო ხელმძღვანელი
სამართლის დოქტორი, პროფესორი - ნინო გვენეტაძე

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი, 0141, საქართველო
2020

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო გვენეტაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

ოფიციალური რეცენზენტები:

1. სერგო ქელიძე

სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული
პროფესორი

2. ირინე ბოხაშვილი

სამართლის დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 15 ივლისს 15:00 საათზე,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ალექსანდრე გიორგაძე

სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომში განხილული თემა აქტუალურია და სათავეს ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარებისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დროიდან იღებს. სამოხელეო დანაშაულის რეგულირება და მასთან ბრძოლა დღემდე ერთ-ერთი მთავარი მტკივნეული საკითხია.

სამოხელეო დანაშაულის სამართლებრივი ანალიზი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში არსებული სისტემური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის გამო. გარდა ამისა, ამ დანაშაულში მხილებულ პირთა მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ თუ გამამართლებელ სასამართლო განაჩენებში მტკიცებულებათა სტანდარტის შეფასების არაერთგვაროვანმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ საკითხი სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი გამამტყუნებელი განაჩენის სტანდარტს ასე განმარტავს: „გონივრულ ეჭვს მიღმა – სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.“ როგორც ვხედავთ,

კანონმდებელმა მართლმსაჯულებას დაუდგინა საკმაოდ ფართო გაგების სტანდარტი, რომელიც იმთავითვე იწვევდა კითხვებს, კერძოდ: 1. სასამართლო გადანაცვეტილება დამოკიდებული გახდა პირის ობიექტურობაზე, რაც, თავის მხრივ, უკვე სადავო საკითხია, ვინაიდან ადამიანი თავისი არსითა და ბუნებით სუბიექტურია. 2. საინტერესოა მტკიცებულებათა ერთობლიობის საკითხი: რა სახის და რამდენი მტკიცებულება შეიძლება გახდეს განაჩენის დადგენისათვის აუცილებელი პირობა, განსაკუთრებით – ისეთი დანაშაულისათვის, როგორც სამოხელეოა? მოხელე ხომ დანაშაულს, როგორც წესი, დახურულ კარს მიღმა, დაბარალეულთან პირისპირ შეხვედრისას სჩადის. აქედან გამომდინარე, მიჩნეული უნდა იქნეს თუ არა დაბარალეულის ჩვენება, როგორც პირდაპირი მტკიცებულება, და სხვა, ირიბი მტკიცებულებები მტკიცებულებათა იმ ერთობლიობად, რომელიც საკმარისი იქნება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად? რა უნდა მოვიპოოთ „ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამატყრებელ მტკიცებულებათა ერთობლიობაში“ სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით? გამოიწვია და მომავალშიც გამოიწვევს თუ არა აღნიშნული სტანდარტი სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებას?

ფაქტია, რომ დღეს სამოხელეო დანაშაულის

მიმართ, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა ერთობლიობის საკმარისობის კუთხით სხვადასხვაგვარი სასამართლო პრაქტიკა, მიდგომები და შეფასებები არსებობს და ეს საკითხი სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საკვლევით თემა აქტუალურია. იგი ნამდვილად შეიტანს წვლილს ისეთი სამეცნიერო დარგის განვითარებაში, როგორიცაა ქართული სამართალი, საქმიანობაში დაეხმარება როგორც თეორიტიკოსს, ისე პრაქტიკოსს იურისტებს და გააჩენს სამოხელეო დანაშაულის მტკიცებულებათა სტანდარტის ერთიან აღქმას.

კვლევის ძირითადი მიზანია სამოხელეო დანაშაულის მტკიცებულებათა სტანდარტის კომპლექსური კვლევა და დადგენა. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში უდიდეს როლს ასრულებს მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრება და შემდგომ მათი გამოკვლევა-შეფასება. აღნიშნულ სფეროში ერთიანი სტანდარტის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს სტანდარტი განაპირობებს ერთიან სასამართლო პრაქტიკას, რომელიც, საბოლოოდ, სამართლიანი მართლმსაჯულების ფუნდამენტური საყრდენია. გარდა ამისა, ნაშრომი მიმოიხილავს სამოხელეო დანაშაულს, მის, როგორც დანაშაულის სპეციფიკური სახის, არსს და წარმოადგენს ამ დანაშაულის გა-

მოძიების პროცესში გამოვლენილი პრობლემების პრაქტიკულ ანალიზს. **კვლევის მიზანია**, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კონკრეტული წინადადებები ერთგვაროვანი სასამართლო თუ საგამოძიებო პრაქტიკის დასადგენად. **კვლევის მიზანია** ასევე, სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ქართული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შედარებითი და მიმოხილვითი ანალიზის შედეგად შემუშავდეს წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამის კანონმდებლობასთან თავსებადობისა და სრულყოფის მიზნით.

კვლევის საგანი და ობიექტი: სასამართლოების მიერ არსებითად მსგავს დანაშაულებრივ ფაქტებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების არაერთგვაროვნებამ, მტკიცებულებათა შეფასებისა და გაზიარების კუთხით არაერთგვაროვანმა მიდგომამ საზოგადოებაში უპასუხო კითხვები გააჩინა და პრაქტიკოს იურისტთა შორის დაუსრულებელი პოლემიკის საგნად იქცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებათა სტანდარტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისაგან. ამდენად, კვლევის საგანი და ობიექტია, ერთი მხრივ, სამოხელეო

დანაშაული, როგორც ფენომენი, და, მეორე მხრივ, ამ დანაშაულის სამართლებრივი შეფასებისათვის აუცილებელ მტკიცებულებათა სტანდარტი, მათი მოპოვება-დამაგრების მეთოდები და ხერხები; სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკა და ანალიზი; ქართული სასამართლოების სტანდარტის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

თემის შესწავლის მდგომარეობა და კვლევის სამეცნიერო სიახლე: სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით დღემდე არაერთი კვლევაა ჩატარებული დაამსაკითხსარაერთისამეცნიერონაშრომიექდღვნება. მრავლად მოიძებნება ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც, ზოგადად, მტკიცებულებათა მნიშვნელობას და მათი მოპოვება-დამაგრებისა და შეფასების ასპექტებს ეხება. ჩვენი კვლევის მიზანია, გაანალიზდეს კონკრეტული, სამოხელეო დანაშაულის დასადასტურებლად ან უარსაყოფად საჭირო მტკიცებულებათა სტანდარტი (და არა, ზოგადად, მტკიცებულებათა სტანდარტი, მისი ცნება და შეფასება, რომლებიც საერთოა სამოხელეო, ქონებრივი თუ ნარკოტიკული დანაშაულებისათვის), რაც, სამოხელეო დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სიახლეა.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული სამოხელეო დანაშაულთან,

როგორც სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებით რეგულირებულ სფეროსთან, აგრეთვე პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებათა სტანდარტთან დაკავშირებით, ნაშრომში პრაქტიკული მაგალითებისა და კონკრეტული საქმეების ანალიზის შედეგად წარმოდგენილია ახლებური ხედვა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალი მეთოდების დანერგვა ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისა თუ სამართლებრივი შეფასების დროს. ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე დღის წესრიგში დადგა შემდეგი საკითხი: არსებული მეთოდები, მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრებისა და სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმები ახლებურად უნდა განისაზღვროს. იმავდროულად, ისინი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს.

ნაშრომი არის ქართულ ენაზე შესრულებული ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო კვლევა, რომელშიც სრულიად ახლებურადაა განხილული მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის სამართლებრივი საფუძვლები, სამოხელეო დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, პრაქტიკაში არსებული პრობლემები და ამ თემასთან დაკავშირებული სხვა სირთულეები.

სამეცნიერო სიახლედ მიგვაჩნია საკვლევი საკითხის შესწავლის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, რომლებშიც მოცემულია დღეს მოქმედი

საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, დამუშავებულია მათი შესაძლო კოლიზიური ასპექტები და წარმოდგენილია წინადადებები ამ კოლიზიების აღმოფხვრის გზების მოძიების მიზნით.

სამეცნიერო სიახლედ მიგვაჩნია ასევე პრაქტიკული ხერხებისა და საშუალებების შემოთავაზება, რომლებიც სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელსა და ადვოკატს გაუადვილებს, მოიპოვოს, გაანალიზოს და შეაფასოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოში მტკიცებულებათა დასაშვებობის სტადიას გადალახავს და ხელს შეუწყობს ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

კვლევის მეთოდები: კვლევაში გამოყენებულია რამდენიმე სახის სამეცნიერო კვლევის მეთოდი: ანალიზისა და შედარების მეთოდი, ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდი, ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების მეთოდი, სოციალური კვლევის მეთოდი, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებისა და დადგენილი განაჩენების შესწავლისა და განზოგადების მეთოდი, სტატისტიკური მონაცემების კვლევისა და ანალიზის მეთოდი.

კვლევის თეორიული ბაზა: ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლისა და

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები და მათი კომენტარები, საქართველოს კონსტიტუცია, სხვა ნორმატიული აქტები, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, სამართლებრივი კაზუსები პრაქტიკიდან, სასამართლოთა განაჩენები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევები და ნაშრომები სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი თავისი არსით, მეთოდოლოგიით და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით სასარგებლო იქნება და ერთგვარი სარეკომენდაციო ნაშრომის როლს შეასრულებს სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმებულ და მართლმსაჯულების განმახორციელებელ საჯარო მოხელეთათვის, აგრეთვე ადვოკატებისა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის. მასში დასმულია სამოხელეო დანაშაულის ყველაზე პრობლემატური საკითხები სამართლებრივი კაზუსების ფორმით. შესაბამისი კვლევითა და ანალიზით დადგენილია ამ საკითხთა გადაწყვეტის ხერხები და მეთოდოლოგია, რომლებიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შედგება ექვსი თავისგან, ათი ქვეთავისა და დასკვ-

ნისგან. ნაშრომის მოცულობა 219 გვერდია.

პირველი თავი მოიცავს სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ-სამართლებრივ მიმოხილვას და სამოხელეო დანაშაულისა და სასჯელის სახეებს სამართლის ისტორიაში.

მეორე თავში გაანალიზებულია მტკიცებულებათა სტანდარტი სამოხელეო დანაშაულის შეფასებისას – მტკიცებულებათა მოპოვების წყაროები, მტკიცებულების რელევანტურობა, მტკიცებულებათა ავთენტიკურობა და მტკიცებულებათა დასაშვებობა.

მესამე თავი ეთმობა პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებების როლს სამართალწარმოებაში – ადამიანის უფლებათა სტანდარტებს დაზარალებულებთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა სტანდარტებს ბრალდებულის პოზიციიდან და მოწმის ირიბი ჩვენების გადამწყვეტ მნიშვნელობას განაჩენის გამოტანისას.

მეოთხე თავში განხილულია ცრუ დასმენა სამოხელეო დანაშაულში – ცრუ დასმენის დანაშაულებრივი ბუნება და მისი ობიექტი, მსგავსება, განსხვავება და ურთიერთგადაფარვის ელემენტები ცრუ დასმენისა და ცრუ ჩვენების ანალიზისას, ცილისწამების სისხლის სამართლის წესით დასჯადობის მიზანშეწონილობა.

მეხუთე თავი ეხება ძალადობისა და იძულების გამიჯვნა-გადაფარვის პრობლემატიკას სამოხელეო

დანაშაულის კვალიფიკაციისას, ძალადობის ხერხებსა და მეთოდებს.

მეექვსე თავში წარმოდგენილია სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკური ანალიზი და შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი მოიცავს სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს ახალი მეთოდების დანერგვის, მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრებისა და მათი სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმების ახლებურად განსაზღვრის წინადადებებს. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით წარმოდგენილი და დასაბუთებულია რეკომენდაციები, რომლებიც, ავტორის აზრით, ხელს შეუწყობს სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით მართლმსაჯულების ობიექტურად განხორციელებას.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. „სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა და სამოხელეო დანაშაულისა და სასჯელის სახეები სამართლის ისტორიაში“.

ნაშრომის აღნიშნულ თავში შესწავლილი და გაანალიზებულია: ძველ ინდოეთში ძვ. წ. II საუკუნეში მოქმედი მანუს კანონები, ბაბილონის სამეფოში ძვ. წ. XVIII-XVII საუკუნეებში შექმნილი ხამურაბის კანონები, ბიბლიაში აღწერილი მოსეს კანონები და უძველეს ისრაელში მოქმედი მტკიცებულებათა სტანდარტი, შარიათის კანონები, რომის სამართალი, ძველ იაპონიაში მოქმედი ტაიხო რიცუს კანონები, საფრანგეთის მეფის – ფილიპ მე-2 ოგიუსტის (1180–1223 წწ.) სამართალი, რუსეთში XVI საუკუნეში შექმნილი ივანე IV-ის (მრისხანეს) სამართლის წიგნი, „ოპიზის სიგელი“ (1027–1072 წწ.), დავით აღმაშენებლის „სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი“ (1123 წ.), გიორგი III-ის სიგელი (1170 წ.), „ხელმწიფის კარის გარიგება“ (XIV საუკუნე), გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ (1334-1335 წწ.), ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, სვიმონ მეფის „განწესება მეკობართმძებნელის შესახებ“ (1590 წ.) და „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (1704–1709 წწ.).

აღნიშნული სამართლის ძეგლების შესწავლამ ცხადყო, რომ სახელმწიფო (საჯარო) მოხელის ინსტიტუტი სათავეს პირველი სახელმწიფოებრივი ჩანასახის გაჩენის დროიდან იღებს. საქართველოში ასეთი ჩანასახები იყო კოლხა და დიაოხი. პირველი სამოხელეო თანამდებობები სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება. ისინი ერისთავებს (ერისმთავრებს) ეკავათ. ერისთავს (ძველი ქართული „ერი“ – ხალხი, ჯარი, „თავი“ – უფროსი, გამგებელი) სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლის უფლებების განხორციელება და მისი მოვალეობების, იმავდროულად, ჯარისსარდლის ფუნქციების შესრულება ეკისრებოდა. უფრო გვიან ორგანიზებული სახელმწიფო სისტემა ჩამოყალიბდა. კერძოდ, ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) 7 ერისთავი და 1 სპასპეტი განაწესა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ნათლად ჩანს საჯარო სამსახურში უფლება-მოვალეობათა დანაწილების პრინციპი. მეფის მიერ სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის რეგულირებისა და პირთა განსაზღვრული წრისთვის კონკრეტული უფლებამოსილების მინიჭების აუცილებელი პირობა იყო გარკვეულ ვალდებულებათა შესრულება. შესაბამისად, დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და განსაზღვრული უფლებამოსილების გადამეტების საფრთხეებიც აღნიშნული დროიდან იღებს სათავეს.

ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზის მიხედვით, სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, სამართლის სპეციალური ნორმების დანესებას და დანაშაულების შესაბამისი მტკიცებულებათა სტანდარტების დადგენას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ადრეული პერიოდის და ფეოდალური ეპოქის ძეგლები სამოხელეო დანაშაულების მკაცრ გამიჯვნა-დიფერენციას არ ახდენდა. სამოხელეო დანაშაული მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხთან, სამხედრო დანაშაულთან, ქრთამსა და ღალატთან ასოცირდებოდა, რაც იმით აიხსნება, რომ საერო მოხელე სამხედრო ფუნქციებსაც ითავსებდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კაცობრიობის განვითარების ადრეული სტადიებიდან სასამართლო ფუნქციებს უმაღლესი საერო თუ სასულიერო ხელისუფალნი ითავსებდნენ (ისტორიულად, ასეთი პირები იყვნენ მეფეები, ქურუმები და მთავრები). ეს იმით არის გამოწვეული, რომ ისინი უპრეცედენტო ნდობითა და ძალაუფლებით სარგებლობდნენ, რაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობის და მათი აღსრულების გარდაუვალობის ერთგვარი გარანტია იყო.

თავი II. მტკიცებულებათა სტანდარტი სამოხელეო დანაშაულის შეფასებისას (ქვეთავები: 2.1. მტკიცებულებათა მოპოვების წყაროები. 2.2. მტკიცებულებათა რელევანტურობა. 2.3. მტკიცებულებათა ავთენტიკურობა 2.4. მტკიცებულებათა დასაშვებობა).

ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულია სისხლის სამართლის პროცესში დამკვიდრებული ორი სტანდარტის („მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტი“ და „მტკიცების სტანდარტი“) განმარტება, ცნება და მათი სამართალწარმოებაში გამოყენების მართებულობა. ვინაიდან საპროცესო კოდექსი ასხვავებს მტკიცებულებათა მოპოვებისა და განხილვის სამ სტადიას: დასაბუთებული ვარაუდი (საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი), ალბათობის მაღალი ხარისხი (წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას) და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი (სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა). მტკიცების სტანდარტი თავისი ფართო გაგებითა და შინაარსით

უფრო ახლოსაა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტთან, მაგრამ ორი სხვა სტანდარტის მიმართ მისი გამოყენება არამართებულად მიგვაჩნია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უპირატესობას მივანიჭებთ ტერმინის „მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტი“ გამოყენებასა და დამკვიდრებას. ამავე თავში ნამსჯელია შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების ფაქტორებზე და შემოთავაზებულია მისი ახლებური განმარტება, კერძოდ: შინაგანი რწმენა არის გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე, ინდივიდის ცნობიერებაზე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ობიექტური ჭეშმარიტების ინდივიდუალური აღქმა.

თავი III. პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებების როლი სამართალწარმოებაში (ქვეთავები: 3.1. ადამიანის უფლებათა სტანდარტები დაზარალებულებთან მიმართებით. 3.2. ადამიანის უფლებათა სტანდარტები ბრალდებულის პოზიციიდან. 3.3. მოწმის ირიბი ჩვენების გადამწყვეტი მნიშვნელობა განაჩენის გამოტანისას).

ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებების როლი შინაგანი რწმენის ფორმირების პროცესში. დასაბუთებულია

ირიბი ჩვენების როლი და მნიშვნელობა სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას. გაანალიზებულია ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები ანგლოსაქსური და კონტინენტური სამართლის მიხედვით. განხილულია არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის პრობლემატიკა, ირიბი ჩვენების გამოყენებასთან მიმართებაში. ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი მიდგომები და პრაქტიკა.

თავი IV. ცრუ დასმენა სამოხელეო დანაშაულში. (ქვეთავები: 4.1. ცრუ დასმენის დანაშაულებრივი ბუნება და მისი ობიექტი. 4.2. მსგავსება, განსხვავება და ურთიერთგადაფარვის ელემენტები ცრუ დასმენისა და ცრუ ჩვენების ანალიზისას. 4.3. ცილისწამების სისხლის სამართლის წესით დასჯადობის მიზანშეწონილობა).

ნაშრომის მეოთხე თავში ცრუ დასმენა განხილულია სამოხელეო დანაშაულთან მიმართებაში და შეფასებულია მართლმსაჯულების ობიექტურად განხორციელების ხელშემშლელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. იგი თავისი ბუნებით ადამიანის მიერ წინასწარ გააზრებულ და დაგეგმილ

დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება და მისი გაუფრთხილებლობით ან/და დაუდევრობით ჩადენა გამორიცხულია. ცრუ ჩვენებისაგან განსხვავებით, ცრუ დასმენა არ შეიძლება სპონტანურად წარმოქმნილ, სიტუაციურ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებისკენ ან/და სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვისკენ მიმართულ ქმედებად შეფასდეს. განხილულია ცრუ დასმენის დანაშაულებრივი ბუნება და მისი ობიექტი, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე წარმოდგენილია არგუმენტები, რომელთა მიხედვითაც, აღნიშნული დანაშაულის ობიექტების ჩამონათვალს უნდა დაემატოს – „სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი“. ამავე თავში განხილული და წარმოდგენილია არგუმენტები ცილისწამების სისხლის სამართლის წესით დასჯადობის მიზანშეწონილობისა და ამ ნორმის ამოქმედების შესახებ.

**თავი V. ძალადობისა და იძულების გამიჯვნა-
გადაფარვის პრობლემატიკა სამოხელეო დანაშაუ-
ლის კვალიფიკაციისას, ძალადობის ხერხები და
მეთოდები.**

ნაშრომის მეოთხე თავი ეთმობა სამოხელეო დანაშაულის ჩადენისას გამოვლენილ ძალადობისა და იძულების ფაქტებს. მათ გამომწვევ ფაქტორებს, სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას დასადგენ ძირითად გარემოებებს, იძულებისა და ძალადობის გამიჯნა/გადაფარვის პრობლემატიკას. აღნიშნულ თავში წარმოდგენილი და ჩამოთვლილია ძალადობის გამომწვევი ძირითადი 10 ფაქტორი. კერძოდ: 1. სამართალდამცავ სფეროში დასაქმებული საჯარო მოხელის მიერ უკანონო ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მეთოდების გამოყენება უმეტეს შემთხვევაში დამნაშავის მხილებას ან დანაშაულის გახსნას ემსახურება. 2. სამართალდამცველის მიერ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია დანაშაულის გახსნის დადებითი სტატისტიკური მაჩვენებლის შექმნა, რაც მისი მუშაობის შეფასებისა და დანინაურების კრიტერიუმია. 3. სამართალდამცველის მიერ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის განხორციელების მიზეზი შეიძლება გახდეს სხვა დანაშაულის დაფარვა ან დამნაშავისათვის ხელის დაფარების სურვილი ან/და ამ მიზნით ზემდგომი

თანამდებობის პირის ბრძანების შესრულება. 4. სამართალდამცველის მიერ ძალადობის განხორციელების მიზეზად შეიძლება იქცეს სახელმწიფოს არასწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. უახლოესი წარსულის მაგალითებზე დაკვირვებით, ამ პოლიტიკის მიზანია კრიმინალურ სამყაროსა და საზოგადოებაში გარკვეული შიშის დანერგვისა და „პატივისცემის“ მოპოვების გზით ე. წ. კრიმინოგენური სიტუაციის მართვა და გამოსწორება.

5. სამოხელეო დანაშაულის გამომწვევი ფაქტორია პირდაპირი ანგარება. 6. მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზია არაპირდაპირი ანგარება, ხელმძღვანელისგან მისი მუშაობის „სათანადოდ დაფასებისა“ და პრემია-დანამატების მიღების მოლოდინი. 7. სამოხელეო დანაშაულის გამომწვევი ფაქტორია სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების არამართლზომიერი მიზანი და მისი დამახინჯებული აღქმა. მისი ირიბი ფორმა იყო სახელმწიფოს სასარგებლოდ რაიმე სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება ან/და კერძო საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უკანონოდ მიქცევის იძულება (ასეთ შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფოს პოლიტიკა იყო დანაშაულის ჩადენის წამქეზებელი ერთ-ერთი ფაქტორი). 8. მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზია პირადი ან პოლიტიკური ანგარიშსწორების მოტივი. 9. სამო-

ხელეო დანაშაულის გამომწვევი ფაქტორია მართლმსაჯულების სწრაფად, სამართალწარმოების გარეშე განხორციელების დანაშაულებრივი მოტივი და მისი დამახინჯებული აღქმა. 10. მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზია მისი ფსიქიკური მდგომარეობა და ძალადობისკენ მიდრეკილება.

აღნიშნულ თავში განხილული მაგალითებისა და არგუმენტების საფუძველზე წარმოდგენილია წინადადება, რომლის მიხედვითაც, კვალიფიკაციის დადგენისას, ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, ძალადობის სისხლისსამართლებრივმა განმარტებამ მოიცვას იძულება – როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ზეგავლენით ნების დამთრგუნავი ფაქტორი და გაიცეს რეკომენდაცია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე/333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის „იძულებით“ ჩადენის შემთხვევაში ქმედება აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირდეს.

თავი VI. სამოხელეო დანაშაულის სტატი- ტიკური ანალიზი

სადისერტაციო თემისა და მასში განხილული საკითხების აქტუალურობის წარმოსაჩენად საქარ-თველოს უზენაესი სასამართლოდან და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი და

დამუშავებული იქნა სამოხელეო დანაშაულთან დავპირებული სტატისტიკური მონაცემები. მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ 2013-2018 წლებში, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის გამოძიება დაიწყო 2101 სისხლის სამართლის საქმეზე. მხილებული იქნა 326 საჯარო მოხელე. 727 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა, ხოლო 88 პირის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა და დადგინდა გამამართლებელი განაჩენი. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ არაერთ შემთხვევაში საგამოძიებო უწყებამ ვერ მოიპოვა მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა სასამართლოსათვის გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, ან/და განხორციელდა სამოხელეო დანაშაულში ცრუ დასმენა, რაც არანაკლებ პრობლემატურია. აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლები ჩვენ მიერ არჩეული სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობის კიდევ ერთი დასტურია. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია სამოხელეო დანაშაულის მტკიცების კუთხით მტკიცებულებათა სტანდარტის მიმართ ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის და, ზოგადად, სამართალწარმოების დროს.

დასკვნა

სამოხელეო დანაშაულის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე-333-ე მუხლები) მტკიცებულებათა სტანდარტის სამართლებრივი ანალიზისას, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილ კვლევას ეფუძნება და რომლის ფარგლებშიც განხილულია არაერთი სისხლის სამართლის საქმე, როგორც ქართული სასამართლოების, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, მივედით გარკვეულ დასკვნებამდე და იმ რეკომენდაციამდე, რომ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ფარგლებში, სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით, პირველად ჩატარდა ისტორიულ-სამართლებრივი კვლევა, რომელმაც მოიცვა როგორც ქართული, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საერო და კანონიკური სამართლის ძეგლები. კვლევაში გაანალიზებულია სამოხელეო დანაშაულისა და სასჯელის სახეები, ასევე მტკიცებულებათა ერთობლიობის ის მინიმალური სტანდარტები, რომელსაც ეყრდნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნის მოსამართლეები გადაწყვეტილების გამოტანისას.

ისეთი სამოხელეო დანაშაულების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს, როგორიცაა

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და მისი ბოროტად გამოყენება, უნდა გავიზიაროთ გერმანული სამართლის სისტემაში დამკვიდრებული და აღიარებული „საქმის გარემოებების გამოკვლევის აბსოლუტურობის“ პრინციპი. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული არაერთგვაროვანი სტანდარტის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის ობიექტური და ნათელი სურათის შესაქმნელად მნიშვნელოვანია თითოეული სამხილი, მიუხედავად იმისა, ის არსებითი ინფორმაციის შემცველია თუ ნაკლებად წონადი. სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი მტკიცებულებები. ნებისმიერი მტკიცებულება მნიშვნელოვანია და მხოლოდ მტკიცებულებათა ერთიან ჯაჭვში განხილვისა და გამოკვლევის შედეგად არის შესაძლებელი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენის დადგენა. მიზანშეწონილია, სამართლის თეორიაში, ნაცვლად „ირიბი ჩვენებისა“ და „ირიბი მტკიცებულებისა“, დამკვიდრდეს „არაპირდაპირი მტკიცებულების“ ცნება, რომელმაც „ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცებულებების“ განმარტებაც უნდა მოიცვას.

სამოხელეო დანაშაულის განმხილველ წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვისას დაშვებული უნდა

იქნეს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მტკიცებულებები სრული მოცულობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მტკიცებულებები საპროცესო კანონმდებლობის აშკარა, უხეში დარღვევითა და იძულებით/ძალადობით არის მოპოვებული. ამ შემთხვევაშიც კი „მონამღული ხის“ პრინციპი მისი შედეგით უპირობოდ არ უნდა იქნეს გამოყენებული. კონკრეტული მტკიცებულების საქმიდან ამორიცხვამ არ უნდა გამოიწვიოს ამ მტკიცებულების საფუძველზე კანონის დაცვით მოპოვებული სხვა მტკიცებულების ავტომატური ამორიცხვა. მაგალითად, იმან, რომ ჩხრეკისას გამომძიებელმა სათანადოდ არ შეავსო ოქმი, არ უნდა გამოიწვიოს ჩხრეკის შედეგად ამოღებულ დანაშაულის იარაღზე ან კვალზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების ავტომატურად დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა. მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, თანაბარ პირობებში გამოიკვლიონ ნებისმიერი მტკიცებულება (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი), რომელსაც, მათი შეხედულებით, საქმესთან კავშირი აქვს, ვინაიდან შეიძლება სოციალურ ქსელში ან მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია მხარის მიერ არჩეული სტრატეგიის ნაწილი იყოს და, ერთი შეხედვით, არაფრისმთქმელმა განცხადებამ, საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, ანალიზისას გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს როგორც მოსამართლის, ისე ნაფიც მსაჯულთა შინაგან რწმენაზე. რაც შეეხება შინაგანი რწმენის

განმარტებას, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შინაგან რწმენასა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტთან დაკავშირებით ერთიანი შეხედულება ჩამოყალიბებული არ არის და არც შინაგანი რწმენის მკაფიო განმარტება არსებობს, თუმცა განხილული განმარტებების ანალიზითა და სინთეზით, ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა მისი ახალი ფორმულირება, კერძოდ: შინაგანი რწმენა არის გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე, ინდივიდის ცნობიერებაზე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ობიექტური ჭეშმარიტების ინდივიდუალური აღქმა.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ მხარეთა შეჭიბრებითობის, თანასწორობისა და მტკიცებულებათა სასამართლოში გამოკვლევის პრინციპები არ შეიცავს არაპირდაპირი მტკიცებულებების აკრძალვის მოთხოვნას. თუმცა რეკომენდებულია, დადგინდეს კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობა და არაპირდაპირ მტკიცებულებათა ჩართვა მტკიცებულებათა ერთიან სტანდარტში, რომელიც საფუძვლად დაედება სასამართლებელ განაჩენს ან/და გამამტყუნებელ განაჩენს. მოსამართლე არ უნდა იდგეს ზედმეტად ბუნდოვანი დილემის წინაშე – დაუშვას თუ არა

საქმეზე „ირიბი ჩვენება“ და გაიზიაროს თუ არა იგი გადაწყვეტილების მიღებისას. მოსამართლეს ამ საკითხის მკაფიო საკანონმდებლო რეგულირება ესაჭიროება. მართლმსაჯულების სტანდარტის სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია გარკვეული ბალანსის დაცვა, რათა არაპირდაპირი მტკიცებულებების წონადაობამ არ დაარღვიოს მხარეთა შეჭიბრებითობის ფუნდამენტური დებულებები და პრინციპები. ამისთვის საჭიროა, დადგინდეს მოსამართლის დისკრეციის კრიტერიუმები და აღმოიფხვრას ის ბუნდოვანება, დაშვებული უნდა იქნეს თუ არა ირიბი მტკიცებულებები და უნდა დაეყრდნოს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება ამ მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ეს საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ მტკივნეულად დგას სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვასთან მიმართებით და დღეს არსებული სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნების მთავარი მიზეზია.

სამოხელეო დანაშაულის მამხილებელი მტკიცებულებები სანდოობის მაღალი ხარისხით უნდა გამოირჩეოდეს. საგამოძიებო უწყების მთავარი ამოცანა არ უნდა იყოს მხოლოდ დანაშაულში ცალკეულ საჯარო მოხელეთა მხილება და შემდგომ მათი სისხლისსამართლებრივი დევნა. მან იმაზედაც უნდა იზრუნოს, რომ არასაკმარის მტკიცებულებებზე

დაყრდნობით, დაუსაბუთებელი ბრალდებით ზიანი არ მიაღგეს საჯარო სამსახურს და სახელმწიფოს ინტერესებს, არ მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ მოხელეთა პროფესიული რეპუტაციის შელახვა და დისკრედიტაცია.

ნაშრომის ფარგლებში შერჩეული საკითხის კვლევისას გვერდი ვერ ავუარეთ სამოხელეო დანაშაულში ცრუ დასმენასა და ცილისწამებას. სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია რეკომენდაცია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლს (ცრუ დასმენა) დანაშაულის ობიექტად დაემატოს „სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი“, ამასთანავე, ამ მუხლის მე-3 ნაწილს „გ“ ქვეპუნქტის სახით დაემატოს სიტყვები „ჩადენილი საჯარო მოხელის ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ“.

რაც შეეხება ცილისწამებას და მისი სისხლის სამართლის წესით დასჯადობის მიზანშეწონილობას, კვლევის ფარგლებში ევროპის არაერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლში

(ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება) შეტანილი უნდა იქნეს ცვლილება და ტექსტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცილისწამებასთან დაკავშირებით, მოპასუხეს უნდა დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ და დაევალოს ცილისმწამებლური ინფორმაციის იმავე საშუალებით ან/და ანალოგიური საშუალებით უარყოფა, რომლითაც ამგვარი ინფორმაცია გავრცელდა.

2. სასამართლო უფლებამოსილია მოპასუხეს, თუ ის ფიზიკური პირია, დააკისროს ჯარიმა 500-დან 5000 ლარამდე ოდენობით.

3. სასამართლო უფლებამოსილია მოპასუხეს, თუ ის არის ორგანიზაცია (იურიდიული პირი) ან მასობრივი ინფორმაციის საშუალება და ცილისმწამებლური ინფორმაცია სწორედ მისი სახელითა და მეშვეობით გაავრცელა, დააკისროს ჯარიმა 5000-დან 30 000 ლარამდე ოდენობით.

4. მოპასუხის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა გამოიწვევს მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.“

შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა აღდგეს 148-ე მუხლი (ცილისწამება),

როგორც სპეციალური მუხლი, რომელიც მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამოქმედდება. ამ მუხლის პირველი ნაწილით დანაშაულის ფიზიკური პირის მიერ ჩადენის შემთხვევაში სასჯელის სახით გათვალისწინებული იქნება ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე ვადით. იმავე მუხლის მე-2 ნაწილში აისახება ორგანიზაციის (იურიდიული პირის) ან მასობრივი ინფორმაციის საშუალების ინფორმაციის გამავრცელებელი ან ინფორმაციაზე პასუხისმგებელი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა, კერძოდ, იგი დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით. ასევე შესაძლებელია, არ აღდგეს 148-ე მუხლი და აღნიშნული დანაშაულის ასახვის მიზნით შესაბამისი ნაწილი დაემატოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლს (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა) სპეციალური დათქმით, რათა ცილისწამების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა მკაფიოდ გაიმიჯნოს სხვა სახის გადაწყვეტილების შეუსრულებლობისგან.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით არათუ დაკნინდება ან საფრთხეში ჩავარდება სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება, არამედ, ერთი მხრივ, სათანადოდ იქ-

ნება დაცული ადამიანის სახელი, ღირსება, პატივი და საქმიანი რეპუტაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ერთმნიშვნელოვნად გაიზრდება მედიისათუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების სანდოობა და ხარისხი და დაიხვეწება ჟურნალისტური სტანდარტები, რაც მთლიანობაში სწორი განვითარების გზაზე დააყენებს როგორც სახელმწიფოს მზარდ დემოკრატიას, ისე მედიასა და საზოგადოებას.

იმის გათვალისწინებით, რომ მოხელის მიერ სამართალწარმოების პროცესში ძალადობით ჩადენილი დანაშაული სხვა დანაშაულებისაგან განსხვავდება, ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულის სრულფასოვნად გააზრებისათვის შემუშავებულია და ნაშრომში წარმოდგენილია მისი გამომწვევი 10 ძირითადი ფაქტორი, რაც სიახლეა. სამოხელეო დანაშაულის ეფექტიანად გამოძიებისთვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, სწორად დაიგეგმოს ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებათა სტრატეგია და ტაქტიკა და გამოიკვეთოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მტკიცების საგანი გახდება. „ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცებულებები“ ნაშრომში 5 კატეგორიად არის წარმოდგენილი და ნებისმიერი სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას უნდა დადგინდეს. აღნიშნული კატეგორიები პრაქტიკაში არსებული საქმეების შესწავლისა და ანალიზის შედეგად შემუშავდა და ნაშრომში დეტალურადაა მოცემული.

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა სამოხელეო დანაშაულის ჩადენისას გამოვლენილ ძალადობისა და იძულების ფაქტებს, ვინაიდან ეს გარემოებები, როგორც წესი, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მისი ბოროტად გამოყენების თანამდევი მახასიათებელია. პრაქტიკაში სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციის დადგენისას არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილია, ძალადობის სისხლისსამართლებრივმა განმარტებამ მოიცვას იძულება – როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ზეგავლენით ნების დამთრგუნავი ფაქტორი, და გაიცეს რეკომენდაცია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე/333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის „იძულებით“ ჩადენის შემთხვევაში ქმედება აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირდეს. ამასთანავე, მეტი თვალსაჩინოებისათვის შესაძლებელია, მე-3 ნაწილში გაერთიანდეს „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, დაემატოს „იძულება“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „იძულებით, ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, ან იარაღის გამოყენებით“.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში, დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი და ორი სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. მტკიცებულებათა სტანდარტი სამოხელეო დანაშაულის შეფასებისას (მტკიცებულებათა მოპოვების წყაროები, მათი რელევანტურობის, ავთენტიკურობისა და საშვებობის ასპექტები).

2. პირდაპირი და ირიბი მტკიცებულების როლი სამართალწარმოებაში.

3. ძალადობისა და იძულების გამიჯვნა/გადაფარვის პრობლემატიკა სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისას, ძალადობის ხერხები და მეთოდები.

ორი თემატური სემინარი (თითოეული ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

1. კიბერდანაშაულის ზოგად სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი.

2. პასუხისმგებლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი განზრახი მკვლელობისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ-სამართ-
ლებრივი მიმოხილვა და სამოხელეო დანაშაულისა და
სასჯელის სახეები ქართულ და მსოფლიო სამართლის
ისტორიაში.“ გამოქვეყნდა ჟურნალ „სამართალი და
მსოფლიო“ N10-ში 2018 წ.

2. „ცრუ დასმენა სამოხელეო დანაშაულში და
მისი ობიექტი“ გამოქვეყნდა ჟურნალ „კავკასიის სა-
ერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“ N14 -ში. 2019 წ.

3. „ცილისწამების სისხლის სამართლის წესით
დასჯადობის მიზანშეწონილობა“. გამოქვეყნდა ჟურ-
ნალ „სამართალი და მსოფლიო“ N11-ში. 2019 წ.

4. „ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულის გა-
მომწვევი ფაქტორები და მათი გამომძიებისას დასა-
დგენი ძირითადი გარემოებები.“ გამოქვეყნდა ჟურ-
ნალ „სამართალი და მსოფლიო“ N13-ში 2019 წ.

5. „შინაგანი რწმენა და მისი ფორმირების ძი-
რითადი ფაქტორები“ გამოქვეყნდა ჟურნალ „სამარ-
თალი და მსოფლიო“ N14-ში 2020 წ.

6. „პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებების რო-
ლი სამოხელეო დანაშაულთან მიმართებაში.“ (ჩაბა-
რებულია გამოსაქვეყნებლად) „ნიუ უნივერსიტი“ (გა-
ნათლების აკადემია) ჟურნალი „ერუდიტი“.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები

1. საერთაშორისო კონფერენცია - "მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები". (ქართველი და ამერიკელი სამართალმცოდნეების მონაწილეობით). ორგანიზატორი - ევროპის უნივერსიტეტი. 17.05.2018

2. საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერების და განათლების თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები“. ორგანიზატორი „ნიუ უნივერსიტი“ (განათლების აკადემია). წარდგენილი იქნა მოხსენება „ძალადობისა და იძულების გამიჯნა/გადაფარვის პრობლემატიკა სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისას“. გამოქვეყნდა ჟურნალ ერუდიტში N1(3) 02.05.2019 წ.

3. საერთაშორისო კონფერენცია (მე-3)- „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები“. (ქართველი და ამერიკელი სამართალმცოდნეების მონაწილეობით). ორგანიზატორი - ევროპის უნივერსიტეტი. 19.10.2019.



Caucasus International University
Faculty of Law

Right of Authorship

Irakli Nadareishvili

Legal analyses of evidential standards and specific features of investigation on the official misconduct cases (Criminal Code of Georgia, Articles 332-333).

Abstract dissertation Presented for the degree
of Doctor of Law

Tbilisi, 0141, Georgia
2020

Annotation

The dissertation work refers to the main cornerstone of the criminal process – evidence and its standards concerning the official misconduct. Within the scope of the work, the study was conducted on official misconducts for the first time, which has covered both the monuments of secular and religious law of Georgia and other countries of the world. The particular attention was paid to the recordings of ancient law monuments, which were regulating the principles of penalization of criminal acts such as abusing of official powers and exceeding official powers. Also, these recordings were defining the types of sentences and the size of penalty for abovementioned crimes. The work analyzes the concept and the importance of an official misconduct according to different phases of human development, on examples of different countries from Europe and Asia. Author also provides the specific analyses, classifications and describes methods of combatting on the basis of existing historical sources. Historical-legal research has been held concerning the crime evidence and therefore analyzes were made on the minimum standards of the totality of evidence, based on which judges of different countries delivered justice.

The work also provides the historical-legal reports concerning the false testimony in official misconduct cases. The specific examples are given and author declares his view that the objective of false testimony crime, conducted within the official misconduct case, should also be the lawful interest of the government besides the interest of justice, personal freedom, honor and dignity. Besides the false testimony, author also produces the analysis on making the defamation act punishable by law and provides recommendations for conducting relevant legislative amendments.

Report includes specific analyzes of an official misconduct that has been committed using violence. On the basis of specific case, reporter has reviewed the peculiarity of the Coercion as the constituent of psychological violence and the socially dangerous nature of the action. Report also contains the discussion about the diverse forms of the coercion. In order to eliminate the ambiguities in practice the recommendation has been presented that an official misconduct, prescribed by the article 332 and 333 of the Georgian Criminal Code, that has been committed using psychological coercion, should be qualified as an act established by the third paragraph of the abovementioned articles.

The Author of the article identifies the causative factors of official misconduct perpetrated by using violence and breaks down into 10 categories. According to the author, in order to carry out the effective investigation of criminal cases concerning the official misconduct, on the first hand it is vital to accurately prepare strategies and tactics of an investigative plan, outline the factual circumstances, which later will become the subject of proof. Based on analyzes regarding the specifics of official misconduct the Author offers 5 conditional criteria. These criteria must be determined and studied on each official misconduct case, which will afterwards consecutively promote to resolve the criminal case, obtain and secure the evidence in accordance with the established procedures.

The great part of the work is dedicated to the role and importance of direct and indirect evidence. The importance of the body of consistent and convincing evidence, at the stage of investigation and when hearing the case at court, is particularly underlined by the author. The work also covers the attitudes of different countries and the European Court on Human Rights, concerning the admissibility of indirect evidences and its criteria when delivering the justice. Author also discusses

the judgment of the Constitutional Court of Georgia which was followed by the dissimilar court practice on application of indirect evidence. Research provides the concrete examples and stipulates argumentations on necessity to apply indirect evidences when hearing the cases concerning official misconduct. Author argues that it is vital to list the criteria of discretion on applying indirect evidences by the judge, In order to eliminate vagueness and dissimilar practice.

At the end of the study, the work provides the final provisions that the author has obtained from studying and researching the abovementioned issues. As a conclusion, author explains that on the bases of discussed practical examples and concrete cases, the dissertation work will provide the idea of importance of introduction of new methods in case of investigations or legal assessment of such cases.

The author hopes that the work will be useful in its essence, methodology and research findings and will play the role of the recommendation paper for public servants employed in law enforcement agencies, for lawyers and law faculty students.

